პრეზიდენტი
დიტერ ფ. უხთდორფი
პირველ პრეზიდენტთა
მეორე მრჩეველი



გენერალური კონფერენცია — ეს არაა ჩვეულებრივი დალოცვა

ერთხელ ჩვენი ეკლესიის სამაგალითო წევრი ესაუბრებოდა მეზობელს, რომელიც არ იყო ჩვენი რწმენის მიმდევარი. როდესაც მათი საუბარი გენერალურ კონფერენციას შეეხო, მეზობელმა იკითხა: „თქვენ ამბობთ, რომ გყავთ წინასწარმეტყველები და მოციქულები და ისინი წელიწადში ორჯერ კონფერენციაზე ღვთის სიტყვას აცხადებენ?“

„დიახ“, — დამაჯერებლად უპასუხა ეკლესიის წევრმა.

მეზობელი ამ პასუხზე დაფიქრდა. ის მართლაც დაინტერესებული ჩანდა. შემდეგ კი იკითხა: „რა იყო ნათქვამი ბოლო გენერალურ კონფერენციაზე?“

და თუ ცოტა ხნის წინ ჩვენი ეკლესიის წევრს სახარების გაზიარების დიდი სურვილი ჰქონდა, ეხლა ის ცოტა დარცხენილად გრძნობდა თავს. მცდელობის მიუხედავად მან კონფერენციის გამოსვლის ვერც ერთი თემა ვერ გაიხსენა.

მეგობარმა შეამჩნია ეს და იკითხა: „შენ იმის თქმა გინდა, რომ ღმერთი დღესაც გველაპარაკება, და შენ კი არ გახსოვს რა გვიქადაგა?“

ამ შემთხვევამ ეკლესიის წევრს მორჩილება ასწავლა. მან დაიფიცა, რომ შემდგომში უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩენდა გენერალურ კონფერენციაზე უფლის მსახურების მიერ ნათქვამი სიტყვების დასამახსოვრებლად.

ჩვენ ყველამ ვიცით, რაოდენ რთულია კონფერენციის ყოველი გზავნილის დამახსოვრება, და მე დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი სამარცხვინო არ არის იმაში, რომ ყველაფერს ვერ ვიმახსოვრებთ. მიუხედავად ამისა ყოველ კონფერენციაზე არის ისეთი გზავნილი, რომელიც ძღვენისა და კურთხევის სახით გვეძლევა ზეციდან ჩვენი პირადი ცხოვრების განსაკუთრებული შემთხვევებისთვის.

ნება მომეცით დაგისახოთ სამი ძირითადი მიმართულება, რომელიც გაგვიადვილებს გენერალურ კონფერენციაზე უფლის მსახურების მიერ ნათქვამი სიტყვების უკეთესად აღქმას, დამახსოვრებას და გამოყენებას.

1. გენერალურ კონფერენციაზე შთაგონებით წარმოთქმული სიტყვების მოსმენის დროს ეკლესიის წევრებს აქვთ უფლება მიიღონ პირადი გამოცხადება.

როდესაც თქვენ გენერალური კონფერენციის მოსმენისთვის ემზადებით, მე გირჩევთ წინასწარ იფიქროთ იმ კითხვებზე, რომლებზედაც გსურთ პასუხის მიღება. მაგალითად, თქვენ გინდათ,

რომ მიიღოთ უფლისგან მითითება იმაზე, თუ როგორ გაუმკლავდეთ თქვენს წინაშე არსებულ სირთულეებს.

თქვენს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებულ ლოცვაზე პასუხი შესაძლოა მოისმინოთ, რომელიმე გამოსვლაში ან რაიმე გარკვეულ ფრაზაში. სხვა დროს პასუხი შეიძლება მიიღოთ ისეთი სიტყვიდან, ფრაზიდან ან სიმღერიდან, რომელსაც თქვენს კითხვასთან პირდაპირი კავშირი არა აქვს. გული, რომელიც სავსეა მადლიერებით ყველა დალოცვისთვის და აქვს გულწრფელი სურვილი შეისმინოს და გაჰყვეს ყველა დარიგებას, იკვლევს გზას პირადი გამოცხადებისთვის.

2. ნუ დააკნინებთ გზავნილს, რომელიც თქვენთვის თითქოს კარგად ნაცნობია.

წინასწარმეტყველები ადამიანების სწავლებისას ყოველთვის მიმართავდნენ გამეორებას. გამეორება სწავლის კანონია. თქვენ გენერალური კონფერენციის მსვლელობის დროს მოუსმენთ გამოსვლებს ხშირად გამეორებულ თემებზე. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ეს არ ხდება შემოქმედებითი ან წარმოსახვის უნარის ნაკლებობის გამო. ჩვენ გვესმის მსგავსი თემების გამოსვლები, რადგან უფალი გულში და გონებაში გვასწავლის და შთაგვაგონებს დიდებულ და მარადიული მნიშვნელობის გარკვეულ ძირითად კანონებს, რომლებიც ჩვენთვის გასაგები უნდა იყოს და ცხოვრებაზეც მორგებული და ეს ყველაფერი უნდა განხორციელდეს, ვიდრე ყურადღებას სხვა რამეზე გადავიტანდით. გონიერი მშენებელი ჯერ საძირკველს უყრის სახლს, შემდეგ კი ზრუნავს კედლებზე და სახურავზე.

3. გენერალურ კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვები უნდა გადაიქცნენ ჩვენთვის გზამკვლევად თვეების განმავლობაში.

თუ ჩვენ მოვუსმენთ და დავუჯერებთ სული წმინდის კარნახს, ის ლიაჰონასავით გაგვიკვლევს გზას უცნობ და სირთულეებით სავსე გზებზე (იხ. 1 ნეფი 16).

სამყაროს დასაბამიდან ღმერთი ირჩევდა და ზრდიდა წინასწარმეტყველებს, რომლებსაც ადამიანებისთვის უნდა გამოეცხადათ ზეცის ნება. ჩვენ გვევალება უფლის მიერ ჩვენთვის განკუთვნილი გზავნილების მოსმენა და მათი ცხოვრებაში გამოყენება.

მოწყალებითა და სიყვარულით აღვსილ ზეციერ მამას არასოდეს არ მივუტოვებივართ და არც მიგვატოვებს. დღესაც, ისევე, როგორც წარსულში, ის ირჩევს მოციქულებსა და წინასწარმეტყველებს და კვლავაც უცხადებს მათ თავის სიტყვას.

რა საოცარი შესაძლებლობაა ყოველი ჩვენთაგანისთვის ვუსმინოთ ღვთის გზავნილს გენერალური კონფერენციის დროს! მოდით კარგად მოვემზადოთ ამ დიდებული დალოცვისთვის-ღვთაებრივი მითითებისათვის, რომელსაც გადმოგვცემენ მისი რჩეული მსახურები.

რადგან ეს არაა ჩვეულებრივი დალოცვა

ამ მოწოდების სწავლება.

- ერთად წაიკითხეთ სტატია. განაწყეთ ოჯახის წევრები განსაზღვრონ ის, თუ რისი მოსმენა სურთ გენერალურ კონფერენციაზე.
- ახალგაზრდა თაობის დასახმარებლად, გამოიყენეთ პრეზიდენტ უხთდორფის რჩევა: აჩვენეთ მათ წოდებების მიხედვით განლაგებული მთავარი ხელმძღვანელების სურათები (იხ. ლიაჰონას საკონფერენციო ნომერი). აუხსენით მათ, რომ კონფერენციაზე პირველი პრეზიდენტობისა და თორმეტ მოციქულთა ქვორუმის წევრები გამოვლენ სიტყვით და შეაგულიანეთ ბავშვები, რათა მოუსმინონ კონფერენციას და გააკეთონ ჩანახატები შესწავლილის უკეთ დასამახსოვრებლად. მეტი ინფორმაციის მისაღებად მშობლებს შეუძლიათ მიმართონ: conferencegames.lds.org

ახალგაზრდები

კარგი, უკეთესი, საუკეთესო

მერი-სელესტ ლუისის მიერ

2007 წლის გენერალურ კონფერენციაზე, თორმეთ მოციქულთა ქვორუმის წარმომადგენლმა, უხუცესმა დალინ ჰ. ოუქსმა, ისაუბრა ღონისძიებებზე, რომლებსაც უწოდა „კარგი, უკეთესი და საუკეთესო“. როდესაც იგი შეეხო ბავშვების გადატვირთულობას, მე გამაჟრჟოლა.

მე ვიცოდი, რომ ძალიან ბევრს ვაკეთებდი: ვმონაწილეობდი სკოლის დადგმებში, გავდიოდი რთულ საგნებს და ასევე ვიყავი ჩართული რამოდენიმე სხვა ღონისძიებაში. ახალგაზრდა ქალების ღონისძიებებისთვის არ მრჩებოდა საკმარისი დრო, კვირა დღეს კი საშინაო დავალებებს ვანდომებდი. მუსიკა და სასკოლო გაზეთის გამოცემა სახალისო საქმიანობიდან სამუშაოდ გადამექცა.

უხუცეს ოუქსის გამოსვლამ სერიოზულად დამაფიქრა. ყველაფერი, რასაც მე ვაკეთებდი, კარგი იყო, მაგრამ ძალიან ბევრ დროს იკავებდა. მე ყველაფერი ამ კარგიდან საუკეთესო უნდა ამომერჩია. როდესაც ვცდილობდი გადამეწყვიტა, რომელ ღონისძიებებზე მეთქვა უარი, მივხვდი, რომ იესო ქრისტეს სახარებას პირველ ადგილი ეკავა. სიის სათავეში დავაყენე ლოცვა და წმინდა წერილების შესწავლა და იმის შემდეგ ჩემი ცხოვრება უფრო განიტვირთა.

უხუცესმა ოუქსმა მასწავლა, რომ თუ პირველად ვაკეთებთ იმას, რაც უფალს სურს, დანარჩენი თავის თავად გვარდება. თუ თამაშისა ან საშინაო დავალების გაკეთების წინ მე ჯერ წმინდა წერილებს წავიკითხავ, ყველაფერი კარგად იქნება. თუ ჩემი ცხოვრება დაფუძნებული იქნება უფალზე, მას სიმშვიდე და წარმატება შეემატება.

ახლა მე ძალიან ყურადღებით ვუსმენ გენერალურ კონფერენციაზე მოცემულ რჩევას.

ბავშვები

გენერალური კონფერენციის საშუალებით მე შემიძლია პასუხების მიღება.

პრეზიდენტი უხთდორფი გვასწავლის, რომ კონფერენციამდე ჩვენს მიერ წინასწარ ნაფიქრ კითხვებზე,უფალს, თავისი წინასწარმეტყველებისა და მოციქულების საშუალებით, შეუძლია გაგვცეს პასუხები.

1. ოჯახში ან კლასში იმსჯელეთ იმაზე, თუ რა უნდა ისწავლოთ ინდივიდუალურად ან ჯგუფურ მეცადინეობაზე. (მაგალითად: როგორ შემიძლია განვამტკიცო ჩემი დამოწმება? როგორ უნდა გავუმკლავდე სკოლის პრობლემებს?). ფურცელზე ან დღიურში ჩაიწერეთ თქვენი კითხვები.
2. რამოდენიმე კვირით ადრე, კონფერენციის დაწყებამდე, შეგიძლიათ ამ კითხვებზე ფიქრი და ლოცვა.
3. ყურადღებით უსმინეთ კონფერენციას (შეგიძლიათ ჩაიწეროთ შენიშვნები). შემდეგ აღწერეთ, თუ როგორ უპასუხა უფალმა თქვენს კითხვებს — ეკლესიის ხელმძღვანელების საშუალებით.
4. სხვა ფურცელზე შეგიძლიათ სურათის დახმარებით გამოხატოთ ის, რაც შეისწავლეთ.

© 2011 Intellectual Reserve, Inc.-*ს მიერ ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია*: 6/10. *თარგმანი დამტკიცებულია*: 6/10. *თარგმანი First Presidency Message, September 2011*. Georgian. 09769 131

სულიერების გაზრდის მეშვეობით ოჯახების გაძლიერება

შეისწავლეთ ეს მასალა და საჭიროებისამებრ განიხილეთ ის დებთან, ვისაც სტუმრობთ. დაუსვით შეკითხვები, რათა შეძლოთ თქვენი დების განმტკიცება და ასევე იმისათვის, რომ მოწყალების საზოგადოება გახდეს თქვენი ცხოვრების აქტიური ნაწილი.

მოწყალების საზოგადოების გენერალურმა პრეზიდენტმა, ჯული ბექმა, თქვა: „ჩემში უზომოდ განმტკიცდა დამოწმება ღვთის ქალიშვილების ფასეულობის შესახებ. მე ვიგრძენი, რომ აქამდე ჯერ არ ყოფილა ძლიერი რწმენისა და სამართლიანობის ასეთი დიდი საჭიროება. ძლიერი ოჯახური კერის ამაზე დიდი საჭიროება ჯერ არ ყოფილა.“

დებს, მათი პირადი გამოცხადების ცხოვრებაში გამოყენებით, შუუძლიათ ძლიერი ოჯახების შექმნა. „იყო პირადი გამოცხადების ღირსი, ღებულობდე მას და მოქმედებდე გამოცხადების შესაბამისად, — ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი უნარია, რომელიც უნდა მოვიპოვოთ ამ ცხოვრებაში“, — აგრძელებს და ბექი. „იმისთვის, რომ გახდე უფლის სულის ღირსი, ჯერ საამისო სურვილი უნდა გაგაჩნდეს; ამის გარდა უნდა გქონდეს გარკვეული ღირსება. მცნებების დაცვას, მონანიებას, ნათლობის აღთქმის განახლებას მოყვება დალოცვა, რომლის თანახმადაც სული უფლისა მუდამ იქნება ჩვენთან. ტაძრის აღთქმების დადებას და მათ შესრულებას დამატებითი სულიერი ძალა შემოაქვთ ქალის ცხოვრებაში. რთულ კითხვებზე პასუხებს ხშირად წმინდა წერილებში ვპოულობთ, რამეთუ ზუსტად წმინდა წერილი გვეხმარება გამოცხადების მიღებაში . . . იმისათვის, რომ უფლის სული იყოს ჩვენთან, აუცილებელია ყოველდღიური ლოცვა.“[1]

ჩვენ აგრეთვე სულიერად ვაძლიერებთ ჩვენი ოჯახის წევრებს, როდესაც ვეხმარებით მათ მამაზეციერის მარადიული გეგმის წვდომაში. უხუცესმა მ. რასელ ბალარდმა თორმეტი მოციქულის ქვორუმიდან დასვა კითხვა: „რა შეგვიძლია გავაკეთოთ იმისათვის, რომ სულიერად უფრო კარგად შევამზადოთ ჩვენი შვილები მათი მარადიული დანიშნულების შესასრულებლად? ალბათ ყველაზე ამომწურავი პასუხი არის შემდეგი: ასწავლეთ მათ სახარების პრინციპებით ცხოვრება.“ ასეთი სწავლება მიმდინარეობს ყოველდღიური ლოცვის დროს, წმინდა წერილების შესწავლით, ოჯახური სადილებისა და საოჯახო საღამოების ჩატარებისას და ამასთან ერთად,საეკლესიო მსახურებების დასწრებით. უხუცესი ბალარდი გვიხსნის: „ჩვენ ყოველდღე, ამ წუთასაც კი ვემზადებით მარადიული ცხოვრებისათვის. თუ ჩვენ მარადიული ცხოვრებისთვის არ ვემზადებით, ესეიგი რაღაც უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ავირჩიეთ, იქნებ გაცილებით უფრო უმნიშვნელოც.“[2]

წმინდა წერილებიდან

იგავები 22:6; 1იოანე 3:22; მოძღვრება და აღთქმები 11:13–14; 19:38; 68:25

ჩვენი ისტორიიდან

1842 წლის მოწყალების საზოგადოების აპრილის შეკრებაზე, წინასწარმეტყველმა იოსებ სმითმა გაუზიარა დებს, რომ მათ აკისრიათ სერიოზული ვალდებულება, — ეძიონ საკუთარი თავის ხსნა. მან ბრძანა: „ჩემი დარიგების შემდეგ, თქვენ პირადად ხდებით პასუხისმგებელნი საკუთარ ცოდვებზე; ეს სანატრელი პატივია — იაროთ მამაზეციერის წინაშე იმის ცოდნით, რომ ხართ საკუთარი თავის მხსნელნი; ჩვენ ყველანი პასუხისმგებელნი ვართ ღმერთის წინაშე მასზედ, თუ როგორ ვზრდით ჩვენში იმ სინათლესა

და სიბრძნეს, რომელიც საკუთარი თავის გადასარჩენად მოგვანიჭა უფალმა.“[3] მან მათ ასწავლა იყვნენ სამართლიანები, გახდნენ წმინდა ერი და მოემზადონ სატაძრო წეს-ჩვეულებებისა და აღთქმებისათვის.

შენიშვნები

1. ჯული ბ. ბექი „And upon the Handmaids in Those Days Will I Pour Out My Spirit,” *Liahona,*2010წ. მაისი, გვ.10, 11.
2. მ. რასელ ბალარდი, “Spiritual Development,” *Ensign*, 1978წ. ნოემბერი, გვ.65, 66.
3. *Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith* (2007წ.), გვ.355.

რა შემიძლია გავაკეთო?

1. როგორ შემიძლია დავეხმარო დებს მათი სულიერი დამოუკიდებლობის ზრდაში?

2. როგორ შემიძლია გავზარდო ჩემში სული წმინდის ამოცნობისა და მისი მორჩილების უნარი?

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებგვერდი www.reliefsociety.lds.org.

© 2011 Intellectual Reserve, Inc.-*მიერ ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია:* 6/10. *თარგმანი დამტკიცებულია*: 6/10. *თარგმანი Visiting Teaching Message, September 2011* Georgian. 09769 131